Grant Thornton

სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებელი

დოკუმენტების სამართლებრივი შესწავლის ანგარიში

17 აპრილი 2015 წ.

Grant Thornton

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებელი"-ს

შპს გრანთ თორნთონ ახველედიანი
დავით აღმაშენებლის გამზ. 61
0102, თბილისი, საქართველო
ტ.+995 32 2 60 44 06
ტ. +995 32 2 14 34 54

Grant Thornton Akhvlediani LLC
61 David Aghmashenebeli Ave.
0102 Tbilisi, Georgia
+ 995 32 2 60 44 06
+ 995 32 2 14 34 54
www.grantthornton.ge

ხელმძღვანელობას,

ჩვენ შორის 2015 წლის 17 მარტს გაფორმებული ხელშეკრულება №ACC-REV-220-ის საფუძველზე, შეეისწავლეთ და განვიხილეთ ჩვენთვის მოწოდებული დოკუმენტები საქართველოს მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

შემოწმების დროს აღმოჩენილი საკითხები წარმოადგენს რეკომენდაციას საზოგადოებრივი მაუწყებლის ხელმძღვანელობისთვის.

ჩვენ გვინდა გამოვიყენოთ შესაძლებლობა და სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებელი"-ს პერსონალს მადლობა გადავუხადოთ თანამშრომლობისთვის.

პატივისცემით,

შპს "გრანთ თორნთონ ახველედიანი"

17 აპრილი 2015 წ.

Grant Thornton Akhvlediani

GRANT THORNTON AKHVLEDIANI LLC
Grant Thornton
200136600

შესავალი

ზოგადი მიმოხილვა
ანგარიშის მომზადების საფუძველი, მიზანი და ამოცანა:

- წინამდებარე ანგარიში მომზადდა შპს "გრანთ თორნთონ"-ს და სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებელი"-ს შორის 2015 წლის 17 მარტს აუდიტორულ მომსახურებაზე დადებული ხელშეკრულება №ACC-REV-220 საფუძველზე;
- წინამდებარე ანგარიშის მიზანია სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებელი"-ს მიერ ჩვენთვის მოწოდებული დოკუმენტების შესწავლა და აღნიშნული დოკუმენტების განხილვა და ანალიზი საქართველოს მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის დადგენის მიზნით; და
- საძართლებრივი პრობლემების გამოყოფა და რეკომენდაციების გაწევა.

საძართლებრივი შესწავლის განხორციელების მიზნით, შპს "გრანთ თორნთონ"-ს და სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებელი"-ს შორის 2015 წლის 17 მარტს აუდიტორულ მომსახურებაზე დადებული ხელშეკრულება №ACC-REV-220 საფუძველზე, 2015 წლის 30 მარტს, მხარეებს შორის დამატებით გაფორმდა საბუთების მიღება ჩაბარების აქტი, რომლითაც განისაზღვრა ჩვენს მიერ წინამდებარე ანგარიშის ფარგლებში შესწავლილი დოკუმენტაციის ჩამონათვალი.

წინამდებარე ანგარიში შემოიფარგლება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული 2015 წლის 30 მარტის საბუთების მიღება-ჩაბარების აქტით განსაზღვრული დოკუმენტაციით, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ანგარიშის დანართს.

წინამდებარე ანგარიში შემოიფარგლება მხოლოდ მასში განხილული დოკუმენტებით და არ მოიცავს სახელმწიფო შესყიდვების დოკუმენტების საძართლებრივ შესწავლას, რას შესწავლილ იქნა 2014 წლის განმავლობაში

განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესწავლის ცალკე ანგარიშში, რომელიც წარედგინა საზოგადოებრივ მაუწყებელს.

წინამდებარე ანგარიშის ფარგლებში შესწავლილი ყველა დოკუმენტი იყო ქართულ ენაზე. დოკუმენტების გადაცემა საზოგადოებრივი მაუწყებლის მხრიდან ხორციელდებოდა ეტაპობრივად ელექტრონული საშუალებებით. დოკუმენტების განხილვისას ჩვენ ვენდეთ წარდგენილი დოკუმენტების სისწორეს და ნამდვილობას.

ზოგადი ინფორმაცია

საჯარო სამართლის იურიდიული პირი „საზოგადოებრივი მაუწყებელი" (შემდგომში – „მაუწყებელი") დაფუძნებულია და თავის საქმიანობას ახორციელებს „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე და აღნიშნული კანონის შესაბამისად წარმოადგენს რეორგანიზებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – „საქართველოს ტელევიზია და რადიომაუწყებლობის" – სამართალმემკვიდრეს.

მაუწყებელი რეგისტრირებულია 1991 წლის 2 ივლისს (საიდენტიფიკაციო კოდი: 204858163). მაუწყებლის იურიდიული მისამართია: ქ. თბილისი, მერაბ კოსტავას ქუჩა №68.

მაუწყებელი საქმიანობის ძირითადი საგანია: სატელევიზიო და რადიომაუწყებლობის ორგანიზება საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ; პროგრამების წარმოება, გახმოვანება, ტირაჟირება და საზოგადოებისათვის მიწოდება; კანონმდებლობით დადგენილი წესით აუდიო-ვიდეო, აუდიოვიზუალური და კინო პროდუქციის შეძენა, ამ პროდუქციაზე საავტორო და ინტელექტუალური საკუთრების სხვა უფლებების მოპოვება; ტელერადიოპროდუქციის შექმნისათვის საჭირო პირობების შექმნა; სარეკლამო პროდუქციის დამზადება; სარეკლამო მომსახურების განხორციელება.

შესწავლის ძირითადი ობიექტი

შესწავლისთვის განკუთვნილი ძირითადი და სხვა მნიშვნელოვანი სამართლებრივი დოკუმენტები:

- სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებელი"-ს სამეურვეო საბჭოს 2008 წლის 28 ივლისს №108 გადაწყვეტილებით (ოქმი №68) დამტკიცებული სსიპ

"საზოგადოებრივი მაუწყებელი"-ს დებულება; სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებელი"-ს გენერალური დირექტორის 2010 წლის 13 იანვრის №2 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებელი"-ს შინაგანაწესი;

- სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებელი"-ს სამეურვეო საბჭოს 2013 წლის 12 აგვისტოს №260 გადაწყვეტილება (ოქმი №252) "სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" თანამშრომლების შრომითი ხელშეკრულების ძირითადი პირობების დადგენის შესახებ"; და

- სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებელი"-ს მიერ 2014 წლის განმავლობაში დადებული სხვა მნიშვნელოვანი ხელშეკრულებები, რომლის ჩამონათვალი განსაზღვრულია 2015 წლის 30 მარტის საბუთების მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ანგარიშის დანართს.

სამართლებრივი შესწავლა

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებელი"-ს დებულება

საზოგადოებრივი მაუწყებლის დებულების ახალი რედაქცია დამტკიცებულია საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს 2008 წლის 28 ივლისის №108 გადაწყვეტილებით. დებულება წარმოადგენს მაუწყებლის საქმიანობის მარეგულირებელ ძირითად დოკუმენტს და განსაზღვრავს მაუწყებლის საქმიანობის საგანს და მიზნებს, სტრუქტურულ ერთეულებს მათი ფუნქციების და უფლებამოსილებების ჩათვლით, ფინანსების ფორმირის წყაროებს, ბიუჯეტის შესრულებას, აუდიტორის არჩევას და მაუწყებლის საქმიანობის კონტროლს.

სამართლებრივი შესწავლის-ანალიზის შედეგად გამოვლენილი პრობლემატური საკითხები:

<u>1. საზოგადოებრივი მაუწყებლის დებულების მე-4 პუქნტის 4.2 ქვეპუქნტი – სამეურვეო საბჭოს კონკურენციაში არსებული საკითხები.</u>

2013 წლის 25 ივლისს (გამოქვეყნების და ძალაში შესვლის თარიღი: 2013 წლის 25 ივლისი) საქართველოს პარლამენტმა შეიტანა ცვლილება "მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 30-ე მუხლის პირველ პუქნტში, რომელიც დეტალურად განსაზღვრავს სამეურვეო საბჭოს ფუნქციებს.

ამასთან ერთად საზოგადოებრივი მაუწყებლის დებულების მე-4 პუქნტის 4.2 ქვეპუქნტი არ მოიცავს "მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 30-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საკითხების ნაწილს.

რეკომენდაცია: შეიცვალოს დებულების მე-4 პუქნტის 4.2 ქვეპუქნტი და მოვიდეს შესაბამისობაში "მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 30-ე მუხლის პირველ პუქნტთან.

შენიშვნა: მიუხედავად იმისა, რომ წინამდებარე სამართლებრივი შესწავლის ანგარიში მოიცავს 2014 წლის პერიოდს და სამართლებრივი დოკუმენტების ანალიზის დროს ჩვენ ვეურდნობოდით საზოგადოებრივი მაუწყებლის დებულების რედაქციას, რომელიც მოქმედებდა 2014 წლის განმავლობაში, გვინდა აღვნიშნოთ, რომ საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს 2015 წლის 8 აპრილის №290 გადაწყვეტილებით (ოქმი №290) ცვლილება შევიდა მაუწყებლის დებულებაში, რომლის შედეგად დებულების მე-4 პუქნტის 4.2 ქვეპუქნტი მოვიდა შესაბამისობაში "მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 30-ე მუხლის პირველ პუქნტთან.

<u>2. საზოგადოებრივი მაუწყებლის დებულების მე-9 პუქნტი - აუდიტი</u>

"მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 34-ე მუხლის პირველი პუქნტის შესაბამისად სამეურვეო საბჭო კონკურსის წესით ნიშნავს საერთაშორისოდ აღიარებულ დამოუკიდებელ აუდიტორულ ფირმას, რომელიც წელიწადში ერთხელ ატარებს საზოგადოებრივი მაუწყებლის გარე აუდიტს.
დებულების მე-9 პუნქტის შესაბამისად მაუწყებლის საქმიანობის გარე აუდიტს ახორციელებს სამეურვეო საბჭოს მიერ დანიშნული აუდიტი.

რეკომენდაცია: შეიცვალოს დებულების მე-9 პუქნტი 4.2 და მოვიდეს შესაბამისობაში "მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 34-ე მუხლის პირველ პუქნტთან. აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ "მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონში მითითებული ფორმულირება "საერთაშორისოდ აღიარებული დამოუკიდებელი აუდიტორული ფირმა" საჭიროებს დამატებით განმარტებას, კერძოდ კი საერთაშორისოდ აღიარებული დამოუკიდებელი ფირმის ცნების განმარტებას და იმ კრიტერიუმების ჩამონათვალს, რომელიც უნდა დააკმაყოფილოს აუდიტორულმა ფირმამ.

შენიშვნა: მიუხედავად იმისა, რომ წინამდებარე სამართლებრივი შესწავლის ანგარიში მოიცავს 2014 წლის პერიოდს და სამართლებრივი დოკუმენტების ანალიზის დროს ჩვენ ვეურდნობოდით საზოგადოებრივი მაუწყებლის

დებულების რედაქციას, რომელიც მოქმედებდა 2014 წლის განმავლობაში, გვინდა აღვნიშნოთ, რომ საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს 2015 წლის 8 აპრილის №290 გადაწყვეტილებით (ოქმი №290) ცვლილება შევიდა მაუწყებლის დებულებაში, რომლის შედეგად დებულების მე-9 მოვიდა შესაბამისობაში "მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 34-ე მუხლის პირველ პუქნტთან, მაგრამ საერთაშორისოდ აღიარებული დამოუკიდებელი აუდიტორული ფირმის ცნება საჭიროებს დამატებით განმარტებას "მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის დონეზე და შემდგომში ამ ცვლილებების გაზიარებას მაუწყებლის დებულებაში.

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებელი"-ს შინაგანაწესი

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებელი"-ს სამეურვეო საბჭოს 2013 წლის 12 აგვისტოს №260 გადაწყვეტილება (ოქმი №252) "სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" თანამშრომლების შრომითი ხელშეკრულების ძირითადი პირობების დადგენის შესახებ"

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებელი"-ს გენერალური დირექტორის 2010 წლის 13 იანვრის №2 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებელი"-ს შინაგანაწესი წარმოადგენს შრომითი ურთიერთობების მარეგულირებელ ძირითად სამართლებრივ დოკუმენტს.

მაუწყებლის შინაგანაწესის შესწავლის პროცესში ჩვენს მიერ არ გამოვლინდა შინაგანაწესის დებულებების შეუსაბამობა საქართველოს შრომით კანონმდებლობასთან.